



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი





კონკურსები

1. 2019 წლის 1 ნოემბერს გამოცხადდა პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი. შემოვიდა 25 პროექტი. დაფინანსდა 2 პროექტი.
 - „წმინდა ელექტროენერგია“(პროდიუსერი - შპს „ზანგო სტუდია“ მინდ. პირი ირაკლი მეტრეველი, რეჟისორი - ვახტანგ კოტეტიშვილი;
 - „ორმო“, (შპს „ტერა ინკოგიტნო ფილმს“ გიორგი ქობალია, რეჟისორი - გიორგი ჩალაური);
2. 2019 წლის 26 დეკემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი. შემოვიდა 17 პროექტი. პროექტები განსახილველად გადაეცა საექსპერტო კომისიას.
3. 2020 წლის 10 იანვარს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი, პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2020 წლის 23 აპრილი.
4. 2020 წლის 27 იანვარს გამოცხადდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი. შემოვიდა 61 პროექტი. პროექტები განსახილველად გადაეცემა საექსპერტო კომისიას.
5. 2020 წლის 27 იანვარს გამოცხადდა დოკუმენტური ფილმის 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი. შემოვიდა 35 პროექტი. პროექტები განსახილველად გადაეცემა საექსპერტო კომისიას.
6. 2020 წლის 17 მარტს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის შექმნის დაფინანსების კონკურსი. პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2020 წლის 24 აპრილი.

მოსამზადებელ პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა 17 წლის ხარ“ (პროდიუსერი - შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, დირექტორი ნათო სიხარულიძე, რეჟისორი - გიორგი მუხაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიდი შესვენება“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“, დირექტორი - დათო უჭმაჭურიძე, რეჟისორი - დათა ფირცხალავა);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ქერი“ (პროდიუსერი - შპს „ნათურა ფილმი“ ციალა აბესაძე, რეჟისორი - გიორგი ქობალია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი - შპს „ნიკე სტუდიო“, დირექტორი - რუსუდან ჭყონია, რეჟისორი - რუსუდან ჭყონია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სად მიდის ლიზა“ (პროდიუსერი - შპს „N&N“, დირექტორი - ნანა ჯანელიძე, რეჟისორი - ნანა ჯანელიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი - შპს „არტიზმი“ ლაშა ხალვაში, რეჟისორი - თინათინ ყაჭრიშვილი);
- ანიმაციური ფილმი „კატოს სიზმრები“ (პროდიუსერი - შპს „20 steps productions“ ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - ცოტნე რუსიშვილი);
- მოკლე მხატვრული ფილმი „#26“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“, დირექტორი - დავით უჭმაჭურიძე, რეჟისორი - გვანცა მეფარიშვილი);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიანი“ (პროდიუსერი - შპს „სინეტექი“, რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ქერი“ (პროდიუსერი - შპს „ნათურა ფილმსი“, რეჟისორი - გიორგი ქობალია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფროდაქშენი“, დირექტორი - შოთა ბაშარული, რეჟისორი - გიორგი გოგიჩაიშვილი);

გადაღების პერიოდშია:

- ანიმაციური ფილმი „განდეგილი“ (პროდიუსერი - შსგ „ლირა ფროდაქშენი“ ლალი კიკნაველიძე, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე);
- ანიმაციური ფილმი „ჩაკრულოს მოძებნა“ (პროდიუსერი - შპს „ვოქსელ“ პაატა ჯიხვაშვილი, რეჟისორი - თეიმურაზ სიხარულიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „პაპანაქება“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“, დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - თორნიკე გოგრიჭიანი);



“ფრენცის სასადილო“




“წვიმა ორ ნაპირზე“

- მოკლე მხატვრული ფილმი „გუშაგები“ (პროდიუსერი – შპს „ორნი“, დირექტორი – თინიკო ნადირაშვილი, რეჟისორი – სანდრო სულაძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „მეზობელი“ (პროდიუსერი – შსგ „მეტრო ფილმ ფროდაქშენი“, დირექტორი – მაია გურაბანიძე, რეჟისორი – დათო ბორჩხიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“ დირექტორი – ნატო სიხარულიძე, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა“ (პროდიუსერი – შპს „დიგიტალ ქითჩენ ფილმსი“, დირექტორი – ლუკა ბერაძე, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ლანა, ანუკა და ფეხბურთის მთელი გუნდი“ (პროდიუსერი - ააიპ „მიკროკოსმოსი“ სალომე ჯაში, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ქეთევან კაპანაძე);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბერი“ (პროდიუსერი - შპს „ორნი“ თინიკო ნადირაშვილი, რეჟისორი და სცენარის ავტორი- სანდრო სულაძე, თინიკო ნადირაშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „ლიმილიანი საქართველო“ (პროდიუსერი - შპს „1991 ფროდაქშენს“ ნინო ჩიჩუა, ანა ხაზარაძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ლუკა ბერაძე);
- დოკუმენტური ფილმი „მულამათი“ (პროდიუსერი - ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი - თამთა გაბრიჩიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი - შპს „იბერიკა ფილმი“, დირექტორი - ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი);
- მცირებუკეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი“, დირექტორი - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი);

მონტაჟდება:

- ანიმაციური ფილმი „მამა“ (პროდიუსერი - ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“ ზურაბ დიასამიძე, რეჟისორი - არჩილ კუხიანიძე);
- დოკუმენტური ფილმი „სამი ურო“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია 99“ - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი - თამარ ბართაია, გიორგი ბართაია, სცენარის ავტორი - თამარ ბართაია);

- დოკუმენტური ფილმი „აღდგომა“ (პროდიუსერი - ააიპ „ნიკადოკ ფილმი“ ნიკოლოზ ბეჟანიშვილი, რეჟისორი - და სცენარის ავტორი- ნიკოლოზ ბეჟანიშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „ჩემი მეზობელი“ (პროდიუსერი - ააიპ „კავშირი ოპიოდოკი“ მარიამ ჭაჭია, რეჟისორი და სცენარის ავტორი- მარადია ცაავა);
- მცირებუკეტისანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცხელი ზაფხული“ (პროდიუსერი - შპს „შვიდკაცა“, რეჟისორი - გია ბარაბაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი- შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - გიორგი ცეცელიძე);
- ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი-ააიპ „სტუდია ჯიბის კაცი“ ანა ჩუბინიძე, რეჟისორ/ანიმატორი - ანა ჩუბინიძე);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შიშველი ცა“ (პროდიუსერი - შპს „კინო არქიტექტორის ოფისი“, რეჟისორი - დეა კულუმბეგაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „შეხვედრა“ (პროდიუსერი - შპს „1991 ფროდაქშენს“ ნინო ჩიჩუა, რეჟისორი - ანა ხაზარაძე, თამარ სხირტლაძე)
- ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ქარმა დაუბერა, ქალმა თავის აბრეშუმის ყელსახვევზე გაიფიცრა“ (პროდიუსერი - ააიპ საქდოკ ფილმი“, რეჟისორი - ალექსანდრე კობერიძე);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „სამურაი დასვენების ჟამს“ (პროდიუსერი - შპს „ალამდარი“, რეჟისორი - ლევან თუთბერიძე);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „წვიმა ორ ნაპირზე“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი -ზაზა ხალვაში);
- მცირებუკეტისანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ალარ შემოძლია“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“, რეჟისორი - ეკატერინე ჭელიძე);



“როცა 17 წლის ხარ”



“მულამათი”



“სამურაი დასვენების უამს“



“ნემი მეზობელი“

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხელოსანი თუ ხელოვანი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი - გიორგი ცხვედიანი);
- მოკლე მხატვრული ფილმი „სასტუმრო მირაჟი“ (პროდიუსერი - შპს „პანიკა ფილმსი“ ანი კაშია, რეჟისორი - ანი კაშია);
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ყვავი“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“, დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორ/ანიმატორი - ალექსანდრე ქათამაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ (პროდიუსერი - ააიპ „კვალი XXI“ ცოტნე კალანდაძე, რეჟისორ/ანიმატორი - მარი კაპანაძე);
- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი);
- მცირებუჩქეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის დეპრესია“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, დირექტორი - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიმანიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი - შპს „სოლოსოლო“ დირექტორი- ბესიკ სოლომანაშვილი, რეჟისორი - ბესიკ სოლომანაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სინემანია“ (პროდიუსერი - შპს „აკრობატი“ დირექტორი - ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი, რეჟისორი - ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია ფონოგრამი“ პაატა გოძიაშვილი, რეჟისორები - ილო ღლონტი, ლევან ღლონტი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“ ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი - კ. კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - სალომე ჭაში, რეჟისორი - სალომე ჭაში);

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - სალომე და თამთა ხალვაში);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი - შპს „თთფილმი“, დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - ირაკლი მეტრეველი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“, დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი - ინდ/მენარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე);

დასრულდა

- მოკლე მხატვრული ფილმი „შავი ზღვა“ (პროდიუსერი – ინდივიდ/მენარმე – „ნინუკა ქოიავა“, რეჟისორი – თინათინ ემირიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „ჭა“ (პროდიუსერი – შპს „ცისფერი მთები“, დირექტორი – ნელი შენგელაია, რეჟისორი – ელდარ შენგელაია);
- დოკუმენტური ფილმი „აზნაშ ლამან“ (პროდიუსერი - შპს „ბი-აი -თი სტუდიო“ მარიამ ბიწაძე, რეჟისორი - ნონა გიუნაშვილი);



„ზამთრის დეკრესია“



საქართველო ბერლინის 70-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე

ევროპული კინოს ბაზრობაზე (EFM) ქართული პავილიონი წელს მეთხუთმეტედ იყო წარმოდგენილი. ეროვნული კინოცენტრის დირექტორის, გაგა ჩხეიძის ხელმძღვანელობით კინოცენტრის გუნდმა გამართა არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა, შედგა მოლაპარაკებები ქართული ფილმების ყიდვით დაინტერესებულ დისტრიბუტორებთან, გაყიდვების აგენტებთან, კინოთეატრებისა და ტელევიზიების წარმომადგენლებთან. ასევე, უცხოელი კინომწარმოებლებისთვის აქტიურად ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება პროგრამის შესახებ „გადაიღე საქართველოში“.





ლევან გელბახიანი – ევროპის ამომავალი კინოვარსკვლავი

ქართველი მსახიობი ლევან გელბახიანი ლევან აკინის ფილმში „და ჩვენ ვიცეკვეთ“ შესრულებული მთავარი როლისთვის იმ ახალგაზრდა, წარმატებული მსახიობების ათეულში მოხვდა, რომლებიც ბერლინის 70-ე კინოფესტივალზე ამომავალი ვარსკვლავის სტატუსით წარსდგნენ. რამდენიმე დღის მანძილზე მას შესაძლებლობა ჰქონდა ბერლინში შეხვედროდა კასტინგის მენეჯერებს, რეჟისორებსა და მსახიობებს. 24 თებერვალს კი, „ბერლინალე პალასტში“ ახალგაზრდა მსახიობთა ათეულს, მათ შორის ლევან გელბახიანს, „ამომავალი ევროპელი კინოვარსკვლავის ჯილდო“ გადასცეს.

2 ქართული ფილმი „ბერლინალეს“ ბაზრობაზე

„ბერლინალეს“ ბაზრობაზე (EFM) წელს აჩვენეს 2 ქართული ფილმი. ცნობილი ქართველი რეჟისორის, ლანა ღოღობერიძის ახალ ნამუშევარი „ოქროს ძაფი“ და უტა ბერიას სადებიუტო ფილმი „უარყოფითი რიცხვები“. ფილმების ჩვენებებს ესწრებოდნენ დისტრიბუტორები, კინოფესტივალეების, ქართული დიასპორისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.



საერთაშორისო კინოფესტივალები და კინობაზრობები

ეროვნული კინოცენტრის გუნდმა გამართა შეხვედრები საერთაშორისო კინოფესტივალების წარმომადგენლებთან. დაიგეგმა ქართული ფოკუსი ლისაბონის დოკუმენტური ფილმების (Doclisboa) და მონპელიეს (Cinémed) საერთაშორისო კინოფესტივალებზე. საქართველოს სტენდის განთავსებასთან დაკავშირებით შედგა მოლაპარაკებები კანისა და ანსის საერთაშორისო კინოფესტივალებთან. ქართულ პავილიონს ესტუმრნენ სან სებასტიანის, სარაევოს და ვარშავის კინოფესტივალების პროგრამული დირექტორები, რათა განეხილათ ქართული ფილმების სელექციის საკითხები. პულასა და ტრიესტის კინოფესტივალებთან ერთად დაიგეგმა თანამშრომლობის გადრმაგება ინდუსტრიული მიმართულებით. ქართულმა დელეგაციამ ასევე უმასპინძლა ვენეციის, ზაგრების, სიეტლისა და შეფილდის კინოფესტივალების წარმომადგენლებს.

აღსანიშნავია, რომ პატრიცია მანჩინისთან მოლაპარაკებისას დაიგეგმა ქართული პროექტების წარდგენა დოკუმენტური ფილმების ბაზრობაზე Sunny Side of the Doc.

ქართული ფილმების პროექტების წარდგენა ევროპული კინოს ბაზრობაზე

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალებზე პროდიუსერების რანგში გაემგზავრნენ ნანა ჯანელიძე, გიორგი ოვაშვილი, კახა მაჭარაშვილი და ხათუნა ხუნდაძე. მათ უკვე მოპოვებული აქვთ ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება, ბერლინში კი ფილმების პროექტები უცხოელ კოლეგებს წარუდგინეს. შედგა სამუშაო შეხვედრა ქართული პროექტის „ვენეციის“ უცხოელ კოპროდიუსერებთან. ინდუსტრიულ შეხვედრებში მონაწილეობდა 2 ქართველი პროდიუსერი – თეკლა მაჭავარიანი (Emerging Producers) და მაკა გოგალაძე (Berlinale Talents). ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით „ბერლინალეს“ დაესწრო კინომცოდნე გიორგი ჯავახიშვილი. იგი გამარჯვებულია ეროვნული კინოცენტრის კონკურსისა „წერე ქართულ კინოზე“.



ტრენინგ-პროგრამები

ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ქართული პროექტების მხარდაჭერის მიზნით გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის ტრენინგ პროგრამების წარმომადგენლებთან, მათ შორის იყო Torino Film Lab, Midpoint, IDFA Academy, Screen Leaders, A Post Lab და EAVE. ტრენინგ პროგრამა EsoDoc-ის დირექტორ ჰეიდი გრონოერთან თანამშრომლობით კი დაიგეგმა 2020 წელს პროგრამის საქართველოში ჩამოტანა. EsoDoc დოკუმენტური ფილმების პროექტების განვითარებაზეა ფოკუსირებული. აღსანიშნავია, რომ ქართული დელეგაცია შეხვდა ცნობილ გერმანელ კინოადვოკატ შტეფან რულს. იგი წლებია მსოფლიოს მასშტაბით ატარებს ტრენინგებს კინოწარმოების საკითხებთან დაკავშირებით. მხარეებმა განიხილეს შტეფან რულის საქართველოში საქმიანის ვიზიტით ჩამოსვლის შესაძლებლობა.

კინოინსტიტუტები

ეროვნული კინოცენტრის დირექტორი გაგაჩხეიძე მონაწილეობდა ეროვნული კინოფონდების ხელმძღვანელების ერთდღიან ფორუმში (Best Practice Exchange), რომელშიც 50-მდე ფონდის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ფორუმს ხელმძღვანელობდა ცნობილი პროდიუსერი საიმონ პერი. ფორუმზე განხილული იყო კინოდისტრიბუციისა და კოპროდუქციის საკითხები. დანიის კინოინსტიტუტის წარმომადგენელთან ერთად დაიგეგმა თანამშრომლობა დანიაში ქართული კინომემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიმართულებით. დანიის კინოინსტიტუტის დირექტორმა, კლაუს ლადეგარდმა გამოთქვა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე დანიური ფოკუსის ჩატარების სურვილი. შედგა შეხვედრა სლოვაკეთის კინოცენტრის წარმომადგენელთან სლოვაკეთში ქართული კინოს დღეების მოწყობასთან დაკავშირებით. ეროვნული კინოცენტრის გუნდმა ევროპის კინოაკადემიის წარმომადგენელ იურგენ ბიზინგერთან განიხილა ევროპული კინოდაჯილდოვების ცერემონიის ჩატარების პერსპექტივები საქართველოში. ასევე, გაიმართა შეხვედრა ლიეტუვის კულტურის მინისტრთან. შეხვედრაზე საუბარი იყო საქართველოსა და ლიეტუვის კინოცენტრების მჭიდრო და წარმატებულ თანამშრომლობაზე. ეროვნული კინოცენტრის დირექტორს სამუშაო შეხვედრა ჰქონდა ებრაელ პროდიუსერ კატრიელ შორისთან, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ისრაელის კინოფონდს. ასევე შედგა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ყაზახეთის ახლადჩამოყალიბებულ კინოცენტრთან და მის ხელმძღვანელებთან, ანა კარკოსა და რეგინა ტოდერენჟუკთან.

ეროვნული კინოცენტრის დირექტორი უნგრეთის ეროვნული კინოინსტიტუტის მიწვევით დაესწრო ოფიციალურ ვახშამს, სადაც ის არაფორმალურ ვითარებაში ესაუბრა ჰაიფას, ანტალიის, პუსანისა და ერევნის კინოფესტივალების წარმომადგენლებს.

რეტროსპექტივები

ქართულ პავილიონს სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ ესტუმრა ბრიუსელის ფესტივალ Bridges: East of the west film days-ის ხელმძღვანელი ჟულიეტ დიურე. უკვე არაერთი წელია კინოცენტრი ფესტივალთან წარმატებით თანამშრომლობს. ასევე, შედგა შეხვედრა კინოთეატრ „არსენალის“ წარმომადგენელთან ანეტ ლინგთან, რომელიც 2020 წელს „არსენალში“ ქართული ფილმების რეტროსპექტივის მოწყობას ეხებოდა.

გადაიღე საქართველოში!

23 თებერვალს კინოკომისიების საერთაშორისო ასოციაციის (AFCI) და კვლევითი ორგანიზაცია OLSBERG SPI-ის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია თემაზე “გლობალური კინოინდუსტრიის ზრდა და მოლოდინები”. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კინოკომისიონერმა დავით ვაშაძემ.

დისტრიბუცია

ეროვნული კინოცენტრის გუნდი აქტიურად მუშაობდა ქართული ფილმების ყიდვით დაინტერესებულ დისტრიბუტორებთან. შედგა მოლაპარაკებები კინოგაყიდვების ბერძნულ (Heretic Outreach) და პოლონურ (Media Moves) კომპანიებთან.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი Cineuropa-სთან

ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ და საინფორმაციო პლატფორმა Cineuropa-ს დირექტორმა ვალერიო კარუზომ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას.

ასევე, გაიმართა შეხვედრა ონლაინ პლატფორმა Film New Europe-ს ბორდის წევრებთან. შეხვედრაზე განხილული იყო პლატფორმის სამომავლო გეგმები და სამოქმედო სტრატეგია.

ქართული წვეულება

25 თებერვალს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის სტუმრებისთვის სასტუმრო „მარიოტში“ ტრადიციულად გაიმართა ქართული წვეულება.





“შინდისი” სანტა ბარბარას საერთაშორისო კინოფესტივალზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა სანტა ბარბარას საერთაშორისო კინოფესტივალი, სადაც დიმიტრი ცინცაძის ფილმი “შინდისი” აჩვენეს.

“შინდისი” რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის რეალურ ფაქტებზეა დაფუძნებული და გვიყვება სოფელზე, რომელშიც ომმა გაიარა. მთავარ როლებს ფილმში გოგა პიპინაშვილი, დათო ბახტაძე და თამუნა აბშილაშვილი ასრულებენ. ფილმის მსოფლიო პრემიერა ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, სადაც გრან პრი და საუკეთესო რეჟისორის ჯილდო მოიპოვა.

“შინდისის” ჩვენებები სანტა ბარბარაში 21, 22 და 24 იანვარს გაიმართა.

სანტა ბარბარას საერთაშორისო კინოფესტივალი წელს 35-ედ ჩატარდა. წელს კინოფესტივალის საპატიო სტუმრები იყვნენ ბრედ პიტი, ლორა დერნი, სკარლეტ იოჰანსონი, ადამ დრაივერი და რენე ზელვეგერი.

პრემიერები და რეტროსპექტივები

ქართული ფილმების რეტროსპექტივა სტრასბურგში

2019 წლის 27 ნოემბერს საქართველო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგმა არაერთ კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლა, მათ შორის ქართული ფილმების რეტროსპექტივას.

ინიციატივა სტრასბურგის კინოთეატრ „ოდისეს“ (L'Odyssée) დირექტორს – ფარუკ გუნალთაის ეკუთვნის. ქართული ფილმების ჩვენებები სწორედ კინოთეატრ „ოდისეში“ გაიმართა.

4 მარტს ქართული ფილმების პროგრამა გახსნა ოთარ იოსელიანის ფილმმა – „იყო შაშვი მგალობელი“. ფილმი აუდიტორიას თავად ოთარ იოსელიანმა წარუდგინა, რომელიც სტრასბურგში სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის ჩავიდა.

სტრასბურგში ასევე აჩვენეს შემდეგი ქართული ფილმები:

- მიხეილ კობახიძის „ქოლგა“, „ქორწილი“, „მუსიკოსები“;
- ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“;
- ელდარ შენგელაიას და თამაზ მელიაშვილს „თეთრი ქარავანი“;
- ლანა ლოლობერიძის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“;
- ნუცა ალექსი-მესხიშვილის „კრედიტის ლიმიტი“;

ეროვნულ კინოცენტრთან ერთად ღონისძიების პარტნიორი იყო სტრასბურგის მერია და საქართველოს კინოაკადემია.



BRIDGES.
EAST OF WEST FILM DAYS



ქართული ფილმების რეტროსპექტივა ბრიუსელში

22-26 იანვარს ბრიუსელის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი „ბოზარი“ ქართული ფილმების რეტროსპექტივას მასპინძლობდა. ღონისძიება გაიმართა ფესტივალის ფარგლებში „ხიდები. დასავლური კინოს დღეების აღმოსავლეთით“ (BRIDGES. EAST OF WEST FILM DAYS).

ქართული ფილმები ბრიუსელში შემდეგი პროგრამით იყო წარმოდგენილი:

- დიმიტრი მამულიას „ბოროტმოქმედი“;
- ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამა – დავით ფირცხალავას „მამა“, დეა კულუმბეგაშვილის „ლეთა“, გიორგი სიხარულიძის „მამული“ და „ამირან დოლიძის ცხოველი“;

- ნინო ორჭონიკიძისა და ვანო არსენიშვილის დოკუმენტური ფილმი “გვირაბი”;
- უტა ბერიას “უარყოფითი რიცხვები”;
- დიმიტრი ცინცაძის “შინდისი”;

ფილმების ჩვენებების გარდა ბრიუსელში გაიმართა ინდუსტრიული შეხვედრები, სადაც ახალგაზრდა რეჟისორებმა – ელენა მიქაბერიძემ და გიორგი სიხარულიძემ წარადგინეს მათი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმების პროექტები.

საქართველოს გარდა ფესტივალის მონაწილეები იყვნენ კინემატგრაფისტები უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, მოლდოვისა და ბელარუსის რესპუბლიკებიდან.

“ღორი” (2019)

16 იანვარს საქართველოს კინოთეატრებში გამოვიდა გიგა ლიკლიკაძის სადებიუტო ნამუშევარი - “ღორი”. ფილმის მსოფლიო პრემიერა კოტბუსის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა.



“ჭა” (2020)

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, ლეგენდარულმა ქართველმა რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი “ჭა”. ფილმის პირველი ჩვენება 87 წლის რეჟისორმა მის დაბადების დღეს დაამთხვია. ღონისძიებას დაესწრნენ ელდარ შენგელაიას კოლეგები.

“გვირაბი” (2020)

პრალაში, ადამიანის უფლებების დოკუმენტური კინოს ფესტივალზე აჩვენეს ნინო ორჭონიკიძისა და ვანო არსენიშვილის დოკუმენტური ფილმი “გვირაბი”. ფილმის მსოფლიო პრემიერა ახლახანს შედგა ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე.



“ცუდი ხალხი” (2019)

ბერლინში გაიმართა გიორგი თავართქილაძის მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება სახელწოდებით “ცუდი ხალხი”. ფილმის მსოფლიო პრემიერა შარშან, ჰონგ კონგის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

“ღვინის ნულოვანი მერიდიანი” (2016)

ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით, საქართველოს საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში განაგრძობს ქართული კინოს სერიების მოწყობას. 30 იანვარს ვაშინგტონში აჩვენეს ნანა ჯორჯაძის დოკუმენტური ფილმი “ღვინის ნულოვანი მერიდიანი”.





ეროვნული კინოცენტრის დირექტორი გაგა ჩხეიძე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის კინო-ფოტო ფონდს ეწვია

ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ თანამშრომლებთან ერთად მოინახულა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის კინო-ფოტო ფონდი.

ფონდი 1968 წელს შეიქმნა და იგი წლებია ინახავს „ქართული ტელეფილმის“ ნამუშევრებს - მხატვრულ, დოკუმენტურ, ანიმაციურ და მუსიკალურ ფილმებს. ასევე, ფონდში დაცულია კინოპერიოდიკა, სატელევიზიო სპექტაკლებისა და გადაცემების მასალები და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების კინოპროდუქცია.

ამჟამად ერთსართულიანი, ცალკე მდგომი შენობა, რომელშიც კინოფონდია განთავსებული, ამორტიზებულია.

ეროვნული კინოცენტრის კოორდინაციით სახელმწიფო დონეზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი ფირსაცავის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც თავს მოუყრის საქართველოში არსებულ უნიკალურ საარქივო მასალას, სათანადო პირობებში შეინახავს და დაიცავს მას.

„შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით საქართველოში კინოსაგანმანათლებლო ონლაინ აპლიკაცია იარსებებს

ეროვნულმა კინოცენტრმა საზოგადოებას წარუდგინა კინოსაგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმა, რომელიც ევროკავშირის პროგრამის – „შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით შეიქმნა. საქართველოს გარდა პროექტში „კინოს კუთხე“ (THE FILM CORNER) ჩართულნი არიან იტალია, დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, სერბეთი და სლოვენია.

კინოსაგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმა შედგება რამდენიმე აპლიკაციისგან. იგი მომხმარებელს გააცნობს კინოსპეციფიკას – კადრის, მონტაჟის, ხმისა და გამოსახულების შექმნის პროცესს, ამბის თხრობის თავისებურებებს და შესთავაზებს კინოტერმინების ლექსიკონს. პირველ ეტაპზე ონლაინ რესურსზე წვდომა იმ კინომისიონერებს (კინოსპეციალისტებს) იქნებათ, რომლებიც მუშაობენ პროექტზე „კინო სკოლაში“, რაც მოზარდებში კინოგანათლების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს.



„დრო იწურება განთიადისას“ – ეროვნული არქივის კინოთეატრში ნელი ნენოვასა და გენო წულაიას 1965 წელს გადაღებული ფილმის ჩვენება გაიმართა

ეროვნული კინოცენტრისა და საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლობით გაიმართა ნელი ნენოვასა და გენო წულაიას 1965 წელს გადაღებული ფილმის ჩვენება სახელწოდებით „დრო იწურება განთიადისას“. ფილმში მთავარ როლებს არიანა შენგელაია მერაბ თავაძე და გურანდა გაბუნია ასრულებენ.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრის დროს ქართული კინოარქივის არაერთი ნამუშევარი დაიწვა, მათ შორის იყო ფირი ფილმისა „დრო იწურება განთიადისას“. შესაბამისად, იგი მრავალ წლის მანძილზე ფართო აუდიტორიას ნანახი არ ჰქონდა. ღონისძიებას დაესწრო მერაბ თავაძე, ფილმი კი საზოგადოებას ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა - გაგა ჩხეიძემ წარუდგინა.

„დრო იწურება განთიადისას“ გადაღებულია უილიამ აირიშის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. მოქმედება ამერიკაში ვითარდება, სადაც ბედის საძიებლად ჩასული უმუშევარი ტოი დიდ თანხას მოიპარავს, საცეკვაო დარბაზში შესული კი ახალგაზრდა ქალს გაიცნობს.

აღსანიშნავია, რომ ფილმის გადასაღებად „ამერიკა“ კინოსტუდიის დიდ პავილიონში აშენდა. გადაღებები ასევე მიმდინარეობდა მოსკოვში. ამერიკული ნაწარმოების ეკრანიზაცია იმდროინდელი ქართული კინოსთვის ერთობ უჩვეულო ამბავი იყო.

ქართული ფილმების 2019 წლის კატალოგის პრეზენტაცია

ეროვნულმა კინოცენტრმა გამართა ქართული ფილმების 2019 წლის კატალოგის პრეზენტაცია.

ღონისძიებაზე ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ ისაუბრა კინოცენტრის მომავალი წლის გეგმებსა და პრიორიტეტებზე.

პრეზენტაციას კინოსექტორისა და ეროვნული კინოცენტრის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.



დარჩი სახლში, უყურე ქართულ კინოს! – ეროვნულმა კინოცენტრმა ონლაინ კინოჩვენებები დაიწყო!

ეროვნულმა კინოცენტრმა ეროვნულ კინოკლუბი დააარსა და ონლაინ კინოჩვენებებს დაიწყო.

ეროვნული კინოცენტრის მიერ დაგეგმილი პირველი ონლაინ პრემიერა გაიმართა 25 მარტს. ფართო საზოგადოება პირველად იხილა გიგა ბაინდურაშვილის 2019 წელს გადაღებულ ფილმს „გაბანა“ ჯანო იზორიასა და დავით როინიშვილის მონაწილეობით. ონლაინ კინოჩვენებების განრიგი მარტის თვეში ასეთი იყო:

25 მარტი, 19:00 საათი

“გაბანა” – რეჟისორი გიგა ბაინდურაშვილი;

27 მარტი, 17:00 საათი

ანიმაციური ფილმი “ჯინო” – რეჟისორი დათო კიკნაველიძე;

27 მარტი, 20:00 საათი

“მოირა” – რეჟისორი ლევან თუთბერიძე;

28 მარტი, 19:00 საათი

“ნამე” – რეჟისორი ზაზა ხალვაში;

29 მარტი, 19:00 საათი

“აღლუმი” – რეჟისორი ნინო ჟვანია;

ინიციატივას ასევე შემოუერთდნენ ლევან კოლუაშვილი, ნანა ჯანელიძე, ნუცა ალექსიძე-მესხიშვილი, ვახო ვარაზი და ლაშა ოთხმეზური.

#დარჩისახლში #უყურექართულკინოს

ეროვნული კინოცენტრის დირექტორი გაგა ჩხეიძე პროდიუსერებს შეხვდა

ეროვნული კინოცენტრის დირექტორის - გაგა ჩხეიძის ინიციატივით 11 თებერვალს კინოცენტრში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ქართველი პროდიუსერები დაესწრნენ. შეხვედრაზე განიხილეს კინოსექტორისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, პრობლემები და გამოწვევები, რაც პროდიუსერის საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია. მსგავსი სამუშაო შეხვედრების გამართვა მომავალშიც იგეგმება.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვანოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge